

დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“

რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის Nო/03 ბრძანებით (დანართი 19)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მექანიზმები


წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ა(ა)იპ გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მექანიზმებს.

დოკუმენტის მიზანია დაეხმაროს სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში ჩართულ დაინტერესებულ პირებს, სწორად და თანმიმდევრულად წარმართონ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების პროცესი ეყრდნობა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს, რომელიც ასევე ცნობილია როგორც PDCA (Plan-Do-Check-Act) ციკლი და დაფუძნებულია პროცესის ცვლილების შეთავაზების, ცვლილების განხორციელების, შედეგების გაზომვისა და შესაბამისი ზომების მიღების მეცნიერულ მეთოდზე. მოიცავს რა ოთხ განმეორებით ფაზას - **დაგეგმვა, გაკეთება, შემოწმება და მოქმედება** - ეს ციკლი უზრუნველყოფს სისტემატურ ჩარჩოს, საიდანაც თითოეული ფაზა გადამწყვეტ როლს თამაშობს მუდმივი გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების უწყვეტი ციკლი მოიცავს შემდეგ ოთხ ეტაპს:



**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების
ჩამოყალიბება**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ყალიბდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ერთი მხრივ, ასახავს დარგობრივ სპეციფიკას, ხოლო მეორე მხრივ, ეყრდნობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიას, ღირებულებებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. შესაბამისად, სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და დაწესებულების მიერ გაცხადებული მისიისა და ხედვის რეალიზებაზე მიუთითებს.

პროგრამის სწავლის შედეგი წარმოადგენს გაზომვად, მიღწევად და რეალისტურ განაცხადს, რომელიც აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები/კურსდამთავრებულები მიაღწევენ თავიანთი აკადემიური პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ადვილად გასაგები პროგრამის გახორციელებაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სწავლის შედეგების თითოეული ნაკრები უნდა იყოს ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული და ასახავდეს კონკრეტული დისციპლინის სპეციფიკას. პროგრამის შედეგების შეფასებისას ძირითადი აქცენტი კეთდება ცოდნის ან უნარების დაუფლების დემონსტრირებაზე. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს თუ რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს, აკადემიური პროგრამის დასრულების შემდგომ და ამავდროულად, გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით სწავლის შედეგები აღიწერება სამი კატეგორიის მიხედვით:

- ✓ ცოდნა და გაცნობიერება
- ✓ უნარი
- ✓ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

იმისათვის რომ დავადგინოთ ურთიერთკავშირი და შესაბამისობის მაღალი ხარისხის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, მზადდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი N1. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნები / სწავლის შედეგები	პროგრამის მიზანი 1	პროგრამის მიზანი 2	პროგრამის მიზანი 3
სწავლის შედეგი 1	✓	✓	
სწავლის შედეგი 2		✓	✓
სწავლის შედეგი 3	✓	✓	
სწავლის შედეგი 4	✓		✓

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უპირველესად გასათვალისწინებელია დარგობრივი სპეციფიკა, ქვეყნისა თუ ინტერნაციონალური (საკუთრივ, ევროპული) უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები და სახელმძღვანელო პრინციპები (სტანდარტები, გზამკვლევები, სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტები და სხვ.).

კერძოდ:

1. მნიშვნელოვანია, პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობდეს პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან, რომელიც ასახულია [სწავლის სფეროების კლასიფიკატორის](#) დოკუმენტში, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების სირთულე, უნდა განსხვავდებოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) მიხედვით და პასუხობდეს [ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში](#) მოცემულ კვალიფიკაციის დონის აღმწერებს. თუმცადა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში მოცემული კვალიფიკაციის დონე, რომელიც წარმოადგენს კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, წარმოდგენილია განზოგადებული სწავლის შედეგების (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) აღმწერებით. შესაბამისად, მას აქვს სანიმუშო ხასიათი და მათი ზედმიწევნით გადმოტანა პროგრამის სწავლის შედეგებში მიუღებელია.
2. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების საფუძველზე შემუშავებული [დარგობრივი მახასიათებელი](#) (არსებობის შემთხვევაში), რომელიც წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს და რომელიც კონკრეტული სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.
3. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას, ეროვნული დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის გარდა, შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა ქვეყნის მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლები. მაგალითად, [ინგლისის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლები](#).
4. მნიშვნელოვანია, პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობდეს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა თუ ტენდენციებს, რადგან უნივერსიტეტი მისი მისიიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს ამზადებს არა მხოლოდ ადგილობრივი, რეგიონალური შრომის ბაზრისთვის, ასევე კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ დასაქმდნენ ან სწავლა გააგრძელონ საზღვარგარეთ.
5. იმასათვის, რომ სწავლის შედეგებში ასახული იყოს დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ.

6. პროგრამის სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანია აისახოს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტები იღებენ ძირითადი/სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
7. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი და რეალისტური. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა (კურიკულუმი) და შინაარსი (განსაკუთრებით, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსები) უნდა უზრუნველყოფდეს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას.
8. პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებები უნდა იძლეოდეს მათზე დაკვირვებისა და შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად, სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს ისე, რომ თითოეული სწავლის შედეგის შეფასება ხდებოდეს მათი შესაბამისი/რელევანტური აქტივობით/დავალბებით.
9. რეკომენდებულია, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები რაოდენობრივად არ აღემატებოდეს 12-ს.
10. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ და ლაკონურად. შესაბამისად, ერთი სწავლის შედეგი არ უნდა აერთიანებდეს რამდენიმე სწავლის შედეგს. დასაშვებია, ერთ სწავლის შედეგში მაქსიმუმ ორი აქტიური ზმნის გამოყენება.
11. პროგრამის სწავლის შედეგებში არ უნდა შედიოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები; ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არ არის პროგრამის სასწავლო კურსებისა ან სხვა კომპონენტების სწავლის შედეგების მექანიკური ჯამი.
12. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს აწმყო დროში, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მოქმედებითი გვარის ზმნები, რათა შემდეგ შევძლოთ ამ სწავლის შედეგის შეფასება.
13. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, მათი ფორმულირებისას მიზანშეწონილია დაწესებულებამ იხელმძღვანელოს შემდეგი ფორმულით/მიდგომებით: ***პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინებათ, რა უნარები ექნებათ, რა ემოციური ცვლილება მოხდება მათში*** (იხ. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული [უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სახელმძღვანელო](#) (2018), გვ.6-8).
14. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულ იქნას ამერიკელი განათლების ფსიქოლოგის, პროფესორის ბენჯამინ ბლუმის მიერ შექმნილი აზროვნების დონეების განმსაზღვრელი ტაქსონომია. შემეცნების დონეების ეს კლასიფიკაცია გვაძლევს მზა სტრუქტურებსა და აქტიური ზმნების სიას, რომელიც გვეხმარება სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. პროგრამის სწავლის შედეგების

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

იმისათვის რომ შევავსოთ ჩვენს მიერ განვსაზღვროთ საგანმანათლებლო პროგრამისა და საკუთრივ მისი სწავლის შედეგების ეფექტიანობა, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი პაკეტის მოქმედებაში ჩაშვება, რაც მოიაზრებს პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტისა და აქტივობის (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსის სილაბუსები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვ.) სრულყოფილად განხორციელებას წინასწარ შეთანხმებული და დაგეგმილი ფორმებით, უმაღლესი განათლების სივრცის მარეგულირებელი კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე ხდება დაინტერესებული მხარეების (ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) ჩართულობით პროგრამის განხორციელება, დაგეგმილი და პროგრამაში შეტანილი ცვლილებების დანერგვა, დარგში მიმდინარე ცვლილებების პერიოდული შესწავლა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესებზე დაკვირვება, სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და გამართული საგამოცდო პროცესების ორგანიზება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული/სამეცნიერო წარმატების შესახებ მონაცემების შეგროვება და შესწავლა, პროგრამის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას შეუძლია დაწესებულების ინფორმირება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საჭიროებებისა და სასწავლო გარემოს შესახებ. სწავლის შედეგები საგანმანათლებლო გამოცდილების სხვადასხვა ეტაპზე იზომება. შედეგების მიღწევის ხარისხი განსაზღვრავს კურიკულუმის დაგეგმვასა და რესურსებზე გადაწყვეტილების მიღებას. უწყვეტი შეფასების კულტურა აძლიერებს საუნივერსიტეტო საზოგადოების უნარს მყისიერად მოახდინოს რეაგირება საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება 3 ეტაპად შეგვიძლია განვახორციელოთ.

- პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია შემუშავებული კურიკულუმის გაანალიზება და მისი ეფექტურობის შეფასება, რაც გადამწყვეტია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების წარმატებისთვის.
- მეორე ეტაპზე, აუცილებელია შეირჩეს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდი, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
- მესამე ეტაპზე განხორციელდება უშუალოდ სწავლის შედეგების შეფასება წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიისა და ფორმების მიხედვით.

კურიკულუმის ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უშუალო კავშირშია პროგრამის კურიკულუმის ანალიზისა და მის ფარგლებში დაგეგმილი კომპონენტებისა თუ აქტივობების განხორციელების შეფასებასთან. კურიკულუმის ანალიზის მიზანია დავადგინოთ:

- ა) რამდენად ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა (მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კონკრეტულისკენ) აგებული პროგრამის სტრუქტურა
- ბ) პროგრამის შინაარსი საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის რამდენად უზრუნველყოფს გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას
- გ) სასწავლო გეგმაში არსებული შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოვლენა

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად საუკეთესო გზაა კურიკულუმის რუკის შედგენა. ეს უკანასკნელი ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებით, კვლევითი თუ შემოქმედებითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. თავად კურიკულუმის რუკის შედგენა არის რეფლექსური პროცესი, რაც გვეხმარება გადავიაზროთ როგორც ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამის სტრუქტურა, სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები. კურიკულუმის რუკების უმეტესობა არის გრაფიკული ილუსტრაციები, რომლებიც შედგება ცხრილისგან, დიაგრამისგან ან მატრიცისგან.

ცხრილის სახით გამოსახულ კურიკულუმის რუკაში ერთ მხარეს წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო მეორე მხარეს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები/კვლევითი/შემოქმედებითი კომპონენტები (იხ. ცხრილი N2). იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია რამდენიმე არჩევითი საგნისგან დაკომპლექტებული არჩევითი საგნების ბლოკი, რომელიმე ერთ ან მეტ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადაიან, მაშინ აღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკის ასახვაც უნდა მოხდეს კურიკულუმის რუკაში.

რეკომენდებულია, კურიკულუმის რუკაში თითოეული სწავლის შედეგზე გამსვლელ კურსს მიეთითოს შესაბამისი პროგრესული დონე, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სიღრმით -

გაცნობის დონე - 1, გაღრმავების დონე - 2, განმტკიცების დონე - 3 - ავითარებს ესა თუ ის კურსი სწავლის შედეგს. შესაძლებელია, რომ ერთი სასწავლო კურსი ახდენდეს რომელიმე სწავლის შედეგის გაცნობა-გაღრმავებას (1/2) ან გაღრმავება-განმტკიცებას (2/3). მნიშვნელოვანია, რომ ყველა სწავლის შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე. ასევე, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ბმა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუკი ვამბობთ, რომ ესა თუ ის კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს.

ცხრილი N2. კურიკულუმის რუკა

პროგრამის სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება		უნარი				პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8
სასწავლო კურსი 1	1	1		1	1	1	1	1
სასწავლო კურსი 2	2	2	1	2	2	2		
სასწავლო კურსი 3	1	1	2		2		2	1
სასწავლო კურსი 4	2			2		2		2
სასწავლო კურსი 5	3	3	3	3	3	3	3	3

კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებასა და მიღწევას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ საკითხებს:

- ✓ თითოეული სწავლის შედეგი სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობით ვითარდება თუ არა სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება)?
- ✓ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა?
- ✓ ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს?
- ✓ ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს?
- ✓ ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს?

კურიკულუმის რუკის შედგენასა და ანალიზში პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად ჩართული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო კურსის წამკითხველმა იცოდეს, თუ რა როლი აქვს მის საგანს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები

უნივერსიტეტში მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება *შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების* გამოყენებით.

ა) შეფასების პირდაპირი მეთოდი

შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. შეფასების პირდაპირი მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით. ამ შემთხვევაში სწორედ პირდაპირი მტკიცებულებები გამოიყენება სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დასადასტურებლად. ეს შეიძლება იყოს: ტესტი, ესსე, პრეზენტაცია, პროექტი, თემის დაცვა, სიმულაცია, პრაქტიკის შეფასება, დასკვნითი და შუალედური გამოცდა, სასერთიფიკატო გამოცდა, პორტფოლიო, გამოქვეყნება, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომი, საველე გამოცდილების ზედამხედველის მიერ შეფასება, ლაბორატორიული დავალებები და სხვ.

შეფასების პირდაპირ მეთოდად ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. მსგავსი მიდგომისას, მნიშვნელოვანია: 1) პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მიზნით შემუშავდეს მასზედ მორგებული ინდიკატორები; 2) შემუშავდეს ინდიკატორების შეფასების რუბრიკა. ამისათვის, თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა განვსაზღვროთ კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად; 3) შეფასების ინდიკატორებისთვის განისაზღვროს შეფასების დონეები, მაგ., 5 დონის შემთხვევაში იქნება: სრულიად ვერ აკმაყოფილებს, ვერ აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, სრულიად აკმაყოფილებს.

ბ) შეფასების არაპირდაპირი მეთოდი

შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გვამღევეს შესაძლებლობას შეფასოთ და დასკვნა გამოვიტანოთ სტუდენტთა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შესახებ არაპირდაპირი მტკიცებულებების საფუძველზე. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფის დისკუსიები, ინტერვიუები, დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და ა.შ.

თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ აგვერიოს სტუდენტის მიერ კურსის შეფასებასა ან კმაყოფილების კვლევის შედეგებში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც.

არსებობს შეფასების მეთოდები, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდად. მაგალითად, სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული სტატია

შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდი. იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ აღვნიშნავთ გამოქვეყნებას როგორც ფაქტს, მაშინ ეს იქნება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის არაპირდაპირი მტკიცებულება, მაგრამ ამ სტატიას თუ შევაფასებთ გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევასთან, მაშინ ეს იქნება პირდაპირი შეფასება.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება

მას შემდეგ რაც დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტების მიერ, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ეს უკანასკნელი იძლევა დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებისა და მიდგომების შესახებ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აისახება ის სავალდებულო სასწავლო კურსები და აქტივობები ამ კურსებიდან, რომლებიც კურიკულუმის რუკის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების დონეზე გადიან. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ. ასევე, თუ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგები ფასდება, მიღებული პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს სამაგისტრო ან/და სადისერტაციო ნაშრომებში, როგორც სწავლის შედეგების განმამტკიცებელ დონეზე გამსვლელ კომპონენტებში. საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ხშირად იყენებენ ე.წ. „შემაჯამებელ სასწავლო კურსს“ ან საბაკალავრო ნაშრომს პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად. ასევე, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს სტუდენტთა ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ისე, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. მაგ., სტუდენტების 60% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაცაა 20 ქულა). სამიზნე ნიშნული არ უნდა იყოს არაგონივრულად მაღალი ან პირიქით, ძალიან დაბალი. იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები. სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასებამდე. სტუდენტების წინარე შედეგები/აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის ანალიზი შეიძლება დაგეხმაროთ რეალისტური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრაში.

შეფასების პირდაპირი მეთოდის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ასე შეიძლება იყოს გამოსახული:

ცხრილი N3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი ან კვლევითი კომპონენტი რომლითაც ხდება შეფასება	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნულები	მონაცემების დრო	პასუხიმიღებელი პირი	მიღებული შედეგების შეფასება	განხორციელებული ცვლილებები
სწავლის შედეგი 1 სიდრმისეულად მიმოიხილავს ქართული ტრადიციული მუსიკის თეორიას, განვითარების ისტორიას და ეთნომუსიკოლოგიის საკითხებს.	მსოფლიო ხალხთა ფოლკლორი 2 სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევის გეგმა სამაგისტრო ნაშრომი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები (იხ. სილაბუსები) ნაშრომის სტრუქტურული მხარე ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	საშუალოდ სტუდენტების 50% შუალედურ და დასკვნით გამოცდებში მიიღებს შეფასების 50%-ზე მეტს საშუალოდ სტუდენტების 50 % დაიცვას ნაშრომს „ფრიადაე“	სასწავლო კურსის დასრულების შემესტრი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემესტრი	პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური		
სწავლის შედეგი 2							
სწავლის შედეგი 3							

სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში, მნიშვნელოვანია მასში მონაწილეობდეს პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტი/სასწავლო კურსი და მათზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მიღებული შედეგი დიდი ჯუფებისთვის განაწილდება ე.წ. „გაუსის მრუდზე“, რომელიც გვიჩვენებს სტუდენტთა მიერ მიღებული შედეგების განაწილებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრული შეფასებების მიხედვით და დგინდება თითოეული შეფასების ხვედრითი წილები. გაუსის ნორმალური განაწილების შემთხვევაში შეფასებები ასე გამოიყურება:

10%	A ფრიადი
25%	B ძალიან კარგი

30%	C კარგი
25%	D დამაკმაყოფილებელი
10%	E საკმარისი

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საყურადღებოდ ითვლება ორი სახის შედეგი:

- 1) სტუდენტთა 10%-ზე მეტი შეფასების ხუთი დონიდან მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას: A (ფრიადი) – 91-100 ქულა
- 2) 2. სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას: F (ჩაიჭრა) – 50 ქულა და ნაკლები

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის პროგრამის სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად (რაც საუკეთესო პრაქტიკაააა მიჩნეული), ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას.

როდესაც ახალი საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება, მას უნდა ქონდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ბუნებრივია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ვერ ექნება ახალ პროგრამას და პროგრამის დაწყების შემდეგ რამდენიმე წელწადში იქნება შესაძლებელი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა იცოდეს პროგრამის სწავლის შედეგები და იცნობდეს მათი შეფასების გეგმას პროგრამის შექმნის დღიდან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განხორციელებელმა პერსონალმა იცოდეს თუ რომელი სასწავლო კურსებითა და/ან სხვა რომელი აქტივობებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.

შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

პროგრამის სწავლის შედეგების სისტემური შეფასება ხელი უწყობს ინსტიტუციაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პოზიტიური თანამშრომლობის, დისკუსიისა და მსჯელობის გააქტიურებას სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროცესების ირგვლივ. შესაბამისად, სწავლის შედეგების შეფასება უპირველეს ყოვლისა ემსახურება შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად და არა მხოლოდ კონკრეტული სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად ან კონკრეტული სტუდენტის შესაფასებლად.

პროგრამის გაუმჯობესებისა და მასში ცვლილებების შეტანის მიზნით მნიშვნელოვანია სიღმისეულად გაანალიზდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და

მონაცემები დადარდეს სამიზნე ნიშნულებთან. ამ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მსჯელობს:

- ✓ თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ისინი ვარაუდობდნენ;
- ✓ ხომ არ არის პროგრამის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების შესწავლა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ. თუმცა აქვე უნდა განიმარტოს, რომ სტუდენტის შეფასებისგან განსხვავებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველადი დანიშნულება პროგრამის შეფასება და მისი მუდმივი გაუჯობესებაა.

შეფასების ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. მაგალითად, არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასებისას, საყურადღებოა და რეაგირებას მოითხოვს ისეთი შედეგები, როდესაც:

- დამსაქმებელთა 25%-ზე მეტი თვლის, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული (პრაქტიკის შემთხვევაში - სტუდენტი) არ ან ცუდად ფლობს სფეროსათვის მნიშვნელოვან ცოდნასა და პრაქტიკულ/საშემსრულებლო უნარებს.
- კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (მაგ., 30%) თვლის, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ მიიღო სფეროსათვის მნიშვნელოვანი ცოდნა და პრაქტიკულ/საშემსრულებლო უნარებს.
- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტთა დიდი ნაწილი (მაგ., 35%) თვლის, რომ პრაქტიკის ობიექტზე აღმოაჩინა, რომ ვერ გამოავლინა და იქ ჩამოიყალიბა ბევრი ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რომელთა შექმნა უნდა მომხდარიყო უსდ-ში.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით შეიძლება:

1. განხორციელდეს პრობლემის წარმოშობის მიზეზების კვლევა. ეს შეიძლება იყოს თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფებთან, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, კონკრეტული სასწავლო კურსის პროფესორთან და/ან სტუდენტებთან გასაუბრება, სილაბუსის შესწავლა, პროგრამის ფარგლებში შექმნილი ნაშრომების სიღრმისეული შესწავლა და სხვ;
2. იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რაც გულისხმობს პროგრამის და მისი კომპონენტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას (მაგ., სწავლებისა და შეფასების მეთოდების,

საკონტაქტო ან დამოუკიდებელი საათების, სასწავლო ლიტერატურის, კურსის წინაპირობების შეცვლა და სხვ.).

პროგრამის გაუმჯობესების ამ ეტაპზე შეფასების შედეგები უნდა იყოს გაზიარებული ფაკულტეტის ფარგლებში, რასაც თან უნდა ახლდეს დისკუსია სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების თაობაზე. აღნიშნული დისკუსიის ძირითადი საკითხებია:

- **რა უნდა შეიცვალოს სილაბუსში:** კურსის წინაპირობების შეცვლა; ცვლილებების განხორციელება სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში; სასწავლო კურსში სპეციფიური მასალის ჩართვა ან/და არსებული მასალის კონკრეტული ნაწილის გაფართოება (ან შეკვეცა); სასწავლო კურსის შეფასების ან/და სწავლების მეთოდების მოდიფიცირება; კურსის მიზნების ან/და სწავლის შედეგები მოდიფიცირება; ECTS კრედიტების მოცულობისა და განაწილების შეცვლა; სასწავლო კურსის მატერიალური რესურსების შეცვლა და სხვ.
- **რა უნდა შეიცვალოს პროგრამის სტრუქტურაში:** სასწავლო კურსების დამატება ან შემცირება; სასწავლო კურსების თანმიმდევრობის შეცვლა; საჭიროა ძირითადი სასწავლო კურსების ადრეულ სემესტრებში გადატანა თუ უმჯობესია სტუდენტებისათვის ამ კუთხით მეტი თავისუფლების მინიჭება.
- **სწავლის შედეგის ცვლილება:** შეფასების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სწავლის შედეგის მოდიფიცირების საჭიროება.
- **შეფასების კრიტერიუმის ცვლილება:** შეფასების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს შეფასების კრიტერიუმის მოდიფიცირების საჭიროება.
- **სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ცვლილება:** პროგრამისა და სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებული მექანიზმის ან მისი შემადგენელი რომელიმე კომპონენტის ცვლილება.

შეფასების შედეგების გაანალიზების შემდეგ, პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება უნივერსიტეტში დანარევილი წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების პროცედურის კოორდინაცია

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობასაც ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.

პროგრამის შეფასების ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შეფასების ჯგუფში ჩართული უნდა იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებაში მონაწილე

აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა (არსებობის შემთხვევაში) და დამსაქმებლების წარმომადგენლები.

შეფასების ჯგუფი შეიმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.

შეფასების გეგმაში კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების ეტაპი უნდა იყოს განსაზღვრული ისე, რომ იძლეოდეს სტუდენტის მიერ ამ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების შესაძლებლობას.

მიზანშეწონილია, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი შეფასდეს პროგრამის დასასრულს თან ისე, რომ ყველა სწავლის შედეგის შეფასებისათვის საჭირო დროის პერიოდი არ აღემატებოდეს პროგრამის ხანგრძლივობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ყოველსემესტრულად აგროვებს და აკვირდება პროგრამის სტატისტიკურ, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის შეფასების ჯგუფთან ერთად.

შეფასების ანგარიში რეკომენდაციებითა და პროგრამაში შესატანი ცვლილებების პაკეტით (არსებობის შემთხვევაში) წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს სათანადო რეაგირებისთვის.

შეფასების ანგარიშის შედეგების საფუძველზე შემუშავებულ და პროგრამაში შესატან ცვლილებებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს (რექტორის ბრძანება Nო/11 – 28.02.2023) შესაბამისად.